საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

მ ი თ ი თ ე ბ ა №002751/შ

შედგენის თარიღი: 24.03. 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის", „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, **2021 წლის 05 ნოემბერის №002751** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული **№002751/ო** მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსასწორებლად განსაზღვრული **30 (ოცდაათი) დღიანი** ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების (უფროსი შრომის ინსპექტორები) [redacted] მიერ **2022 წლის 25 იანვარს** განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: სს „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი";
საიდენტიფიკაციო ნომერი: 212153756;
გენერალური დირექტორი: თენგიზ ცერცვაძე;
აღმასრულებელი დირექტორი: შოთა გოგიჩაიშვილი;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გუდამაყრის შეს. №2;
შემოწმებული ორგანიზაციის მისამართი: ქ. თბილისის ალ. ყაზბეგის №16;

სს „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის" მიმართ, **2021 წლის 05 ნოემბერს** გაიცა **№002751** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასზე თანდართული **№002751/ო** მითითება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ ორგანიზაციას

განესაზღვრა **30 (ოცდაათი) დღიანი** ვადა მითითებაში აღნიშნული დარღვევების გამოსასწორებლად.

შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებისა და ინფორმაციის შესწავლის, შრომით ნორმებთან მიმართებით მათი ანალიზისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების, ასევე დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრების საფუძველზე, **2021 წლის 05 ნოემბრის №002751** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული **№002751/ო** მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხის შესწავლის შედეგები შემდეგნაირია:

№	გაცემული მითითება	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი** „2. თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება.“	**მითითება შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა: „გ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;“	**მითითება შესრულდა**
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა: ე) თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;“	**მითითება შესრულდა**

4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა: „ვ) შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი;“	**მითითება შესრულდა**
5.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა: „ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;“	**მითითება შესრულდა**
6.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა: „თ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურებისგარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;“	**მითითება შესრულდა**
7.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს: „გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი;“	**მითითება შესრულდა**
8.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი**	**მითითება შესრულდა**

	„2. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემდეგ გადასახდელ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად.“	
9.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი** „11. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ.“	**მითითება შესრულდა**
10.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტი** „1. შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც	**მითითება შესრულდა**

	გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.“	
11.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები** „3. შრომის ანაზღაურება გაიცემა არანაკლებ თვეში ერთხელ. 4. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. ეს წესი არ ვრცელდება ამ კანონის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.“	**მითითება შესრულდა**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი: